

საექიმო შეცდომა

ნანა ხეცურიანი

მაია დონაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014წ.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნანა ხეცურიანი

ნ.ხეცურიანი

მაია დონაძე

მ.დონაძე

თარიღი 14.06.2014წ.

აბსტრაქტი

ბოლო წლებში საზოგადოების ფართო რეზონანსს პოვებს ე.წ. „ექიმთა საქმეები“, ეს გარკვეულწილად ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის მრავალი ხარვეზის შედეგია. მისი გაუმჯობესება რათქმაუნდა ხელს შეუწყობს უკეთესი კლინიკური შედეგების მიღებას, მაგრამ აქ ვაწყდებით პრობლემას, არ არსებობს საკმარისი ინდიკატორები ხარისხის კონტროლისათვის. არ არის მონაცემები, როგორც საექიმო შეცდომასთან დაკავშირებით, ასევე სხვა გარემოებებთან მიმართებაში. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდოლოგია: ჩაღრმავებითი ინტერვიუ, რაოდენობრივი კვლევა, უცხოური და ქართული ლიტერატურის მიმოხილვა საკითხთან მიმართებაში, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშები. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს სტატისტიკური მონაცემები „საექიმო შეცდომაზე“ რაც ყოველწლიური ანალიზის საშუალებას იძლევა. საქართველოში კი ამ საკითხზე მსჯელობისათვის არის მხოლოდ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დასმული ექიმის პასუხისმგებლობის საკითხთა რაოდენობა. ცხადია ეს არაა საკმარისი მონაცემი რათა მოხდეს შედეგების განზოგადება. მიუხედავად გატარებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა ამ სფეროში, საექიმო შეცდომა რჩება მაინც ტაბუდადებულ თემად, რომელზეც არავინ არასდროს ღიად არ საუბრობს. აუცილებელია შეიქმნას მონაცემთა ბაზა და მოხდეს თითოეული შემთხვევის რეგისტრირება, რათა ვისწავლოთ შეცდომებზე, და ყოველი შეცდომა იყოს პრევენცია იმისა რომ ის არ განმეორდება.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს ბ-ნ თენგიზ ვერულავას, თემის დამუშავებაში შეტანილი უდიდესი დახმარებისთვის, მადლობას ვუცხადებთ ჩაჩავას კლინიკის ხარისხის მართვის მენეჯერს ე-ნ ნატა ყაზახაშვილს, რომელმაც მოგვაწოდა მაქსიმალური ინფორმაცია საკითხთან მიმართებაში. ასევე მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ დოქტორანტს მაგდა ასათიანს.

ნაშრომი წარმოადგენს ნანა ხეცურიანისა და მაია დონაძის ერთობლივ ნამუშევარს. ხეცურიანი ნანა- შესავალი, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მიზანი, ლიტერატურული მიმოხილვა. დონაძე მაია-საექიმო შეცდომები საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობა, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, საექიმო შეცდომების მართვის მოდელები. კვლევის ძირითადი ნაწილი, ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ, მისი ინტერპრეტაცია, რეკომენდაციები და დასკვნები შესრულებულია ერთობლივად.